

## ოქმი # 1

### თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის სხდომისა

#### სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, თ. ბუჩუკური, ვ. გარსევანიშვილი, თ. დათუაშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ნ. ინასარიძე, ხ. ინასარიძე, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 20 წევრი).

#### დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო წევრის არჩევა.

არჩეულ იქნა: სხდომის მდივანი - თამარ დათუაშვილი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელმა მ. ელიაშვილმა მიმართა ინსტიტუტის დირექტორს ნ. ფარცვანიას, რათა მან აღძრას შუამდგომლობა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე პროფესორ ვახტანგ გოგოხიას ინსტიტუტის საპატიო წევრად არჩევის შესახებ (მ. ელიაშვილის სამსახურებრივი ბარათი ოქმს თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის მ. ელიაშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ ვ. გოგოხია არის მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე აღიარებული ფიზიკოსი-თეორეტიკოსი, რომელიც ამჟამად მოღვაწეობს ვიგნერის ცენტრში (ქ. ბუდაპეშტი, უნგრეთი) და ამასთან ერთად აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო თანამშრომლობას თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების წევრებთან. მ. ელიაშვილს მიაჩნია, რომ ვ. გოგოხია სავსებით იმსახურებს ინსტიტუტის საპატიო წევრად არჩევას.

**ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე.** ჩატარდა ღია კენჭისყრა.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0.

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:** ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე ერთხმად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო წევრად არჩეულ იქნა პროფესორი ვახტანგ გოგოხია (ვიგნერის ცენტრი, ქ. ბუდაპეშტი, უნგრეთი).

სხდომის თავმჯდომარე

თ. ქადეიშვილი

სხდომის მდივანი

თ. დათუაშვილი